Людвиг Чибиров. Традиционная духовная культура осетин, РОССПЭН, М., 2008, 705 стр.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როცა ჰუმანიტარული დარგის მკვლევარებმა ოსური ენისა და ზეპირსიტყვიერების შესწავლა დაიწყეს, უკვე სახეზე იყო უაღრესად საინტერესო, ტრადიციული ხალხური შემოქმედება, რომელიც მკვეთრად გამოკვეთილ სხვადასხვა კულტურულ-რელიგიური და მითოსური მსოფმხედველობის ელემენტებს შეიცავდა. მიუხედავად იმისა, რომ ოსების ტრადიციულ ყოფასა და ზეპირსიტყვიერ ტექსტებს მეცნიერების საქვეყნოდ აღიარებული კორიფეები იკვლევდნენ (ვ. მილერი, ჟ. დიუმეზილი, ვ. აბაევი), მკვლევართათვის არც თუ ისე იოლი აღმოჩნდა ამ თავისებურ კულტურულ-რელიგიურ სინკრეტიზმში სუბსტრატის პოვნა. დაგროვდა არაერთი პასუხგაუცემელი კითხვა, ამიტომ ოსი ხალხის ტრადიციული ყოფისა და ფოლკლორული შემოქმედების კვლევა დღესაც გრძელდება.

რამდენიმე წლის წინ (2008 წ.) მოსკოვში გამომცემლობა „რუსეთის პოლიტიკურმა ენციკლოპედიამ“ რუსულ ენაზე დაბეჭდა ცნობილი ოსი ეთნოგრაფისა და ისტორიკოსის ლუდვიგ ჩიბიროვის მონოგრაფია „ოსების ტრადიციული სულიერი კულტურა“, რომელიც ავტორის მრავალწლიანი მეცნიერული შრომის სოლიდურ ნაყოფს წარმოადგენს. ასეთი ფუნდამენტური ნაშრომი, მართლაც, მხოლოდ ჩვენს დროში შეიძლებოდა შექმნილიყო, როცა ოსი ხალხის ტრადიციული სულიერი კულტურის შესახებ უკვე დაგროვდა მდიდარი ფოლკლორული, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალა.

ლ. ჩიბიროვმა გამოიკვლია ოსი ხალხის რელიგიური მსოფლმხედველობა, ტრადიციული წეს-ჩვეულებები და კალენდარული დღესასწაულები, მათი კავშირი ხალხის სამეურნეო საქმიანობასა და საოჯახო ყოფასთან. მკვლევარი შეეცადა მათი წარმოშობის სოციალური პირობებისა და ზოგადი გენეზისის დადგენას, წარმოადგინა ოსური საზოგადოების საზოგადოებრივი სტრუქტურა. აგრეთვე, გამოავლინა ის ტრადიციული ელემენტები, რომლებიც დღემდე შემორჩა ოსი ხალხის ყოველდღიურ ცხოვრებას.

ლუდვიგ ჩიბიროვის 700 გვერდიანი წიგნი, რომელიც სამი ნაწილისგან შედგება, მოიცავს თხუთმეტ თავს, გამოკვლევას ახლავს შესავალი, დასკვნები, გამოყენებული ლიტერატურის სია, ეთნოგრაფიული ექსპედიციების მარშრუტები, ხალხური ტექსტების მთქმელ-ინფორმატორთა სია, აგრეთვე გვარ-სახელების, ეთნონიმების, საკულტო ადგილების, გეოგრაფიული სახელების, მითოლოგიურ და ეპიკურ პერსონაჟთა საძიებლები.

ლ. ჩიბიროვი ნაშრომში ეყრდნობა როგორც წერილობით ისტორიულ წყაროებს, ისე არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ფოლკლორულ მასალას, რადგან, მისი აზრით, „უდამწერლობო საზოგადოების ზეპირსიტყვიერი შემოქმედება ძვირფას სამსახურს უწევს მკვლევარს მრავალი პრობლემის, მათ შორის ეთნოგენეტიკური საკითხების გაშუქებაში“ (გვ. 17). წიგნში ლ. ჩიბიროვმა გამოიყენა ველზე მოპოვებული საკუთარი მასალა. მკვლევარს 1960-1974 წლებში ხალხური ტექსტები ჩაუწერია ჯავის, ყორნისის, ახალგორის, ცხინვალის ბორჯომის, გორის, ქარელის, ყაზბეგისა და ლაგოდეხის რაიონის ოსებით დასახლებულ სოფლებში, აგრეთვე ჩრდილოეთ ოსეთში, კერძოდ, ალაგირის, დიგორის, ირაფის, მოზდოკისა და პრიგოროდნის რაიონებში.

შესავალში ავტორი გვაცნობს კვლევის მიზნებსა და ამოცანებს, აგრეთვე, განიხილავს იმ წყაროებსა და სამეცნიერო ლიტერატურას, რომელიც მან თავის კაპიტალურ ნაშრომს დაუდო საფუძვლად. ლ. ჩიბირობმა წიგნში წარმოადგინა გრანდიოზული ფოლკლორულ-ეთნოგრაფიული მასალა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მას შეუსწავლია თითქმის ყველა წყარო ოსი ხალხის ტრადიციული ყოფისა და სულიერი კულტურის შესახებ. იცნობს ბოლო ორი საუკუნის მანძილზე რუსულ, ქართულ, ინგლისურ და სხვა ენებზე გამოქვეყნებულ სამეცნიერო ლიტერატურას. ლ. ჩიბიროვი განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს ვახუშტის, ვ. მილერის, მ. კოვალევსკის, ჟ. დიუმეზილის, ვ. აბაევის, ვ. კუზნეცოვისა და სხვათა შრომებს. წიგნში გამოყენებული შრომების სია რამდენიმე ასეულს აჭარბებს. ლ. ჩიბიროვს ნაშრომში უხვად აქვს დამოწმებული საბჭოთა პერიოდის ქართული სამეცნიერო ლიტერატურა, მათ შორის, ს. მაკალათიას, ა. რობაქიძის, გ. ჩიტაიას, ვ. ბარდაველიძის, ჯ. რუხაძისა და თ. ოჩიაურის შრომები.

ავტორი ნაშრომის პირველ თავში ოსების ხალხური რწმენა-წარმოდგენების ე. წ. ადრეულ ფორმებს ეხება. კერძოდ, ლ. ჩიბიროვი განიხილავს ოსური მითოპოეტური შემოქმედების ისეთ საკითხებს, როგორიცაა ანიმისტური მსოფლმხედველობა და ბუნების გასულიერება, დემონოლოგიური მითები, ცხოველების კულტი, მაგიური წარმოდგენები, ფეტიშიზმის გადმონაშთები, წინაპრების კულტი და სხვ.

ნაშრომის მეორე ნაწილში განხილულია დრო და კალენდარი ოსურ ტრადიციულ კულტურაში. მკვლევარი მსჯელობს კვირის დღეებისა და თვეების სახელწოდებათა წარმომავლობის შესახებ. ავტორი წარმოგვიდგენს მთვარის კალენდარს, რომელსაც ეფუძნებოდა მარხვისა და დღესასწაულების წლიური ციკლი. ლ. ჩიბიროვი გვთავაზობს

კალენდარული დღესასწაულების კლასიფიკაციას. ავტორი ითვალისწინებს წინამორბედ მკვლევართა (ვ. მილერი, გ. კოკიევი, ბ. კალოევი) დასკვნებს და გამოყოფს ხალხური დღეობების სამ ციკლს: ზამთრის დღესასწაულები, საგაზაფხულო დღესასწაულები და საზაფხულო-საშემოდგომო დღესასწაულები. მასში შედის როგორც საერთოოსური და ადგილობრივი მნიშვნელობის, ისე საოჯახო დღესასწაულები. მკვლევარი დაწვრილებით აღწერს დღესასწაულების როგორც საერთო რიტუალურ ნიშნებს, ისე ცალკეულ დღეობათა კონკრეტულ თავისებურებებს.

ნაშრომის მესამე ნაწილი ეხება ოსი ხალხის ეთნოკულტურულ კავშირებს. ავტორი განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ოსური და სკვითური ტრადიციების შედარებით ანალიზს, რომელმაც თავის დროზე ვ. მილერისა და ჟ. დიუმეზილის ყურადღებაც მიიქცია. მესამე ნაწილის ერთ-ერთი თავი ეძღვნება ქართულ-ოსურ ეთნოგრაფიულ პარალელებს, რომელსაც ნაშრომში მხოლოდ სულ რაღაც ოციოდე გვერდი ეთმობა.

ვფიქრობ, ქართულ-ოსური წეს-ჩვეულებებისა და ზეპირსიტყვიერი ტექსტების სიახლოვე ცალკეული ყოფითი დეტალებისა და სიუჟეტების მსგავსებით არ შემოიფარგლება. სახეზეა კიდევ უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი ანალოგიები. აღმოსავლეთ საქართველოსა და ოსეთის მთიანეთში ჩამოყალიბდა საზოგადოებრივი ყოფის, კულტმსახურებისა და მითოპოეტური შემოქმედების საერთო მოდელი. მართალია, თვითონ წიგნის ავტორი საგანგებოდ ყოველთვის არ ამახვილებს ყურადღებას ქართულ-ოსური ტრადიციების საერთო ძირებზე, მაგრამ ხალხური ადათებისა და ფოლკლორული შემოქმედების მცოდნე მკითხველი ლ. ჩიბიროვის წიგნში უეჭველად აღმოაჩენს ოსებისა და ქართველი მთიელების კოლექტიური მენტალობის, სოციალური ყოფის, წეს-ჩვეულებების, ხალხური სიუჟეტებისა და საკრალური ელემენტების სიღრმისეულ მსგავსებასა და საერთო სტრუქტურას.

ამჯერად ჩემს მიზანს არ წარმოადგენს ყველა ამ საკითხის განხილვა. მხოლოდ ოსურ ტრადიციაში ძუარების (მფარველ წმინდანთა) ინსტიტუტის მნიშვნელობასა და აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატთა მსახურებასთან მის სიახლოვეზე გავამახვილებ მკითხველის ყურადღებას.

აღმოსავლეთ საქართველოსა და ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში ტრადიციული საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრება ორგანულად იყო დაკავშირებული მფარველ წმინდანთა კულტთან. თითოეულ თემს, სოფელსა და საგვარეულოს თავისი სალოცავი ჰქონდა,

სადაც რელიგიურ დღესასწაულებზე წმინდანებს ადიდებდნენ. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატს, ოსი ხალხის კონსოლიდაციაშიც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა წმინდანს, ძუარს, რომლის მფარველობის ქვეშ უწევდა ცხოვრება საზოგადოების თითოეულ წევრს.

ლ. ჩიბიროვი ძუარებთან (მფარველ წმინდანებსა და ანგელოზებთან) დაკავშირებულ ხალხურ ტექსტებს, ოსი ხალხის მითოპოეტურ შემოქმედებასა და ტრადიციულ შეხედულებებს ანიმიზმის, ტოტემიზმისა და სხვადასხვა მაგიური რწმენა-წარმოდგენების გადმონაშთად მიიჩნევს. ავტორისეული მსჯელობა ნაშრომში არცთუ იშვიათად მოძველებულ მარქსისტულ მეთოდოლოგიას ემყარება. ძუარების თაყვანისცემას ლ. ჩიბიროვი ოსი ხალხის ცრურწმენის გამოვლინებად მიიჩნევს. დღევანდელი მეცნიერება კი მითს უყურებს და განიხილავს ისევე, როგორც ტრადიციული საზოგადოება, რომლის თვალთახედვით მითი არის ნამდვილი ამბავი, უფრო მეტიც, ის არის წმიდა გადმოცემა, რომელიც სამყაროზე ან მის ნაწილზე არსებით ჭეშმარიტებას შეიცავს. ავტორი არ იცნობს თანამედროვე დასვლეთში ტრადიციული ყოფისა და მითოლოგიის აღიარებულ მკვლევართა (მ. ელიადე, კ. ლევი-სტროსი და სხვ) შრომებს.

ლ. ჩიბიროვის მსჯელობა ძუარების თვისებებზე, საზოგადოებრივ ფუნქციასა და მის საზრისზე ნაშრომის სხვადასხვა თავებშია გაფანტული. ბევრად უკეთესი იქნებოდა, შესაბამის ფოლკლორულ-ეთნოგრაფიულ მასალასთან ერთად, ძუარებთან დაკავშირებული ავტორის თვალსაზრისი წიგნში კომპაქტურად ყოფილიყო წარმოადგენილი.

ოსი ხალხის რელიგიურ ყოფაში პაგანიზაციის უფრო ფართო მასშტაბის მიუხედავად, ძუარს ოსურ ენაში ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორიც ჯვარსა და ხატს ქართული ენის მთის დიალექტებში. ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატი, ოსური ტრადიციითაც ძუარ არის მფარველი წმინდანის, ანგელოზის და საერთოდ სალოცავის ზოგადი სახელი. ქართული ენიდან არის შესული ოსურში არა მხოლოდ ქრისტიანულ წმინდანთა და ანგელოზთა სახელები: ვასთირჯი (წმიდა გიორგი), თარანჯელოზ (მთავარანგელოზი), მიქალგაბირთა (მიქელგაბრიელი), სანიბა (სანება) და სხვ. არამედ ძუართა მსახურებასთან დაკავშირებული საკრალური ტერმინოლოგიის დიდი ნაწილიც.

მფარველ ძუართა სახელწოდებებისა და საკრალური ლექსიკის გარდა, კულტმსახურების წესები და საკულტო რიტუალები, რელიგიურ დღესასწაულთა კალენდარი და ძუარლაგობის (ძუარ-ჯვარი, ლაგ-კაცი, ჯვრისკაცი, ხატისკაცი) ინსტიტუტი ოსებში, ისევე, რო-

გორც აღმოსავლეთ კავკასიის მთიანეთში ქართული კულტურის გავლენით ჩამოყალიბდა. ოსური ფოლკლორი მფარველ ძუართა შესახებ წარმოგვიდგენს მდიდარ მასალას, რომელიც დიდ მსგავსებას ამჟღავნებს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ანდრეზული შინაარსის ტექსტებთან და ჯვარ-ხატთა მსახურებასთან. ძუარების შესახებ შექმნილი ოსური მითოლოგიური ტექსტების შინაარსი, სტრუქტურა, სიმბოლიკა, იდეოლოგია და საზრისი ქრისტიანულ მსოფმხედველობას ემყარება.

საბჭოთა მეცნიერებაში ძუარებს, ისევე როგორც აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის ჯვარ-ხატებს, ღვთაებებად მოიხსენიებდნენ. თუმცა ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს ვ. მილერმა შენიშნა, რომ მფარველ ძუარებს ოსები არ უწოდებდნენ ღვთაებებს. მისი აზრით, სიტყვა „ძუარი“ ნასესხებია ქართული ჯვარიდან და აღნიშნავს ჯვარს (крест), სამლოცველოს, წმინდა ადგილს, ღვთაებრივ ძალას და წმინდანს. ოსური ძუარის ქართულიდან წარმომავლობას ადასტურებს ცნობილი ოსი მეცნიერი ვ. აბაევიც.

ძუარების კულტი ოსებში და ჯვარ-ხატთა თაყვანისცემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში თავისი შინაარსით არის ხალხური რელიგია და ის ქრისტიანულ ყაიდაზეა აგებული.

გასული საუკუნის ბოლოს მონოგრაფიაში „ქართული მითოლოგია, ჯვარი და საყმო, I, (1996) ზ. კიკნაძემ მდიდარი ფოლკლორული მასალის ანალიზის საფუძველზე მტკიცე არგუმენტებით დაასაბუთა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში ჯვარ-ხატთა ინსტიტუტი მთლიანად ქრისტიანულ საფუძველს ემყარება.

პოსტსაბჭოთა პერიოდში აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის საყმოების ტრადიციული სულიერი კულტურის შესახებ რამდენიმე წიგნად გამოქვეყნდა ალ. ოჩიაურის „ქართული ხალხური დღესასწაულები“, ზ. კიკნაძის „ანდრეზები (აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რელიგიურ-მითოლოგიური გადმოცემები)“, რომლებმაც განსაკუთრებული სიცხადე შეიტანეს ქართველ მთიელთა მითო-პოეტური შემოქმედების შესწავლაში.

დასახელებული შრომებისა და წყაროების გაცნობის შემთხვევაში ლ. ჩიბიროვი ქართულ-ოსურ ტრადიციებში კიდევ უფრო მეტ იდენტობასა და სულიერ სიახლოვეს აღმოაჩენდა. დასანანია, რომ ცნობილი მიზეზების გამო, როგორც ჩანს, მკვლევარი არ იცნობდა ფოლკლორულ-ეთნოლოგიური თვალსაზრისით ამ უაღრესად მნიშვნელოვან ქართულ მასალას.

ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში ძუართა თაყვანისცემის ერთიანი სისტემა თუშ-ფშავ-ხევსურეთისა და მთიულეთ-გუდამაყრის საყმო-

ების სოციოკულტურული და რელიგიური მოდელის მსგავსად ჩამოყალიბდა. ძუართა მსახურების ეს მოდელი ცენტრალური კავკასიის მაღალმთიანეთში დასახლებულმა ოსებმა, შესაძლოა, შუა საუკუნეებში ადგილობრივი დვალებისგან მემკვიდრეობით მიიღეს.

ოსური ხალხური ტექსტები გვიდასტურებენ, რომ ძუართა უმეტესი ნაწილი ჩრდილოეთ ოსეთის მთიანეთში ძველი ქრისტიანული ეკლესიების ნანგრევებთან დაარსდა. ის რიტუალები, რომლებიც ძუარებში ტარდება, ხალხური ინოვაციური და, შესაბამისად, გარეგნული პაგანიზებული ელემენტებით არის გამდიდრებული. ხოლო, რაც შეეხება ძუართა არქაულობას, მის სიძველეს ქრისტიანული საფუძველი განაპირობებს.

ცალკეული შენიშვნების მიუხედავად, ლ. ჩიბიროვის მონოგრაფია „ოსი ხალხის ტრადიციული სულიერი კულტურა“ უაღრესად მნიშვნელოვანი, მრავალმხრივ საყურადღებო ნაშრომია, რომელიც შთამბეჭდავად წარმოადგენს ოსი ხალხის მდიდარ მითოპოეტურ შემოქმედებას და მრავალფეროვან წეს-ჩვეულებებს. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ოსი და ზოგადად კავკასიის ხალხების ფოლკლორით, მითოლოგიითა და ეთნოლოგიით დაინტერესებულ მკვლევარ-მეცნიერებს, სტუდენტებსა და მკითხველ საზოგადოებას.

ხვთისო მამისიმედიშვილი